**გუშინ** ქუთაისში, „ტორპედოს“ სტადიონზე საქართველოს თასის ფინალური მატჩი უნდა გამართულიყო. ბათუმის „დათვები“ თბილისის „ლოკომოტივის“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ თასის ფინალის ნაცვლად ქუთაისში ერთი უბრალო, უმნიშვნელო შეხვედრა შედგა. „დათვები“ ამხანაგურად „აიას“ გაეჯობრა და იოლად დაამარცხა მეტოქე.

ახლა კი მნიშვნელოვანზე ვთქვათ, ანუ რატომ არ შედგა ფინალური მატჩი. ვერ კიდევ ოთხი დღის წინ საქართველოს რაზმის კავშირმა ფინალის თარიღად 5 ნოემბერი დაამტკიცა, არადა, კარგა ხნით ადრე დადგინილი კალენდრით ეს მნიშვნელოვანი მატჩი ერთი დღით ადრე, 4 ნოემბერს უნდა გამართულიყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ „ტორპედოს“ სტადიონზე კვირას საფეხბურთო მატჩი იყო დაგეგმილი და მორაგბეთა თვის მსოლიდ ორშაბათს იყო თავისუფალი. თითქოს ამ უმნიშვნელო ფაქტს არანაირი გავლენა არ უნდა მოეხდინა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე კი ის გახლავთ, რომ 4 ნოემბერი უქმე, კვირა დღე იყო, 5 ნოემბერი კი ორშაბათი, რამაც ვეღვაფერი თავდაყირა დააყენა და დეტექტიურ ამბავს ჩაუყარა საფუძველი.

„ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ ბენდიანიშვილმა თხოვნით მიმართა კავშირის მესვეურებს: ფინალური მატჩი კალენდრით გათვალისწინებულ 4 ნოემბერს გამართოთ. ან გადავლით. ამაზე დასტურით მიიღო, კავშირმა კი „დათვების“ უფროსობის ინფორმირება თავის თავზე აიღო.

ბენდიანიშვილი გულდაშვებულად მიიღო კავშირიდან. ეს ყველაფერი შაბათს ხდება, ანუ მატჩამდე ორი დღით ადრე. „მე მივმართე საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორ მისეილ რობიაშვილს, რომ ორშაბათს ვერ წავიდოდით ქუთაისში, ვინაიდან მორაგბეები მუშაობენ და ვერ მოიცილებენ. კავშირში მითხრეს, რომ „დათვების“ მთავარ მწვრთნელს ლევან მგელაძეს დაურეკავენ და შეხვედრის გადადებაზე დათანხმდებიან. მეც წავიდავ კავშირიდან და ბიჭებსაც უთხარი, მატჩი გადაიღო მეტიქი“ — ეს თემურ ბენდიანიშვილის სიტყვებია.

„ჩვენ მივიღეთ ფაქსი, რომ ორშაბათს, 5 ნოემბერს, ქუთაისში ფინალური შეხვედრა დაინიშნულია. არანაირ მატჩის გადადების თაობაზე კავშირის ხელმძღვანელობთან საუბარი არ მქონია“ — ამბობს ლევან მგელაძე და თავის ნათქვამის დასაბამად ფაქსის ასლების ჩვენებასაც გვიჩვენებს. „დათვები“ ქუთაისში მიემგზავრებიან და სათამაშოდ ემზადებიან. ზღვისპირელებს იმერეთში გულშემატკივართა დიდი არმია მიყვება.

ქუთაისში ჩადის მსაჯთა ბრიგადა და მატჩის კომისარია, მსოლიდ „ლოკომოტივი“ არ დაძრულა ადგილიდან. მატჩი გადადებულია — შვიდავ არიან რეინივხლები. სიტუაციის გასარკვევად კავშირს მივმართეთ, სადაც გვეთხრეს, რომ მატჩი ოფიციალურად დაინიშნულია და თუ „ლოკომოტივი“ არ მიდის, ეს ჩვენი ბრალი სულაც არ არის. საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორი მისეილ რობიაშვილი საჩუქრებზე ალაპარაკდა. მან დებულება მოიშველია, რომლის თანახმადაც, გამოუცხადებლობის გამო „ლოკომოტივის“ წავება უნდა ჩაეთვალოს. თასი კი ყო-

ველგვარი ოფლისდგირის გარეშე „დათვებს“ გადაეცეს.

ამ დროს ქუთაისში მატჩის ოქმი ივსება, თუმც ამოდ ელიან „ლოკომოტივის“ გამოჩენას. „მე ვიცი, რომ მატჩი დღეს უნდა გამართოს, არ მაინტერესებს, რას გადაწყვეტს „ლოკომოტივი“. თასი ჩვენ გვეკუთვნის, ვინაიდან მეტოქე არ გამოცხადდა“ — გვითხრა ლევან მგელაძემ, როდესაც ქუთაისში შევეხებინა.

თბილისში კი მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. თემურ ბენდიანიშვილი კავშირს ახსნა-განმარტებას სთხოვს, რის შემდეგაც კავშირის კატეგორიულ ტონში სირბილე შეინიშნება და „ლოკომოტივის“ დამრიგებელს სიტუაციის გარკვევას გუშინ დაინიშნულ სტკ-ს სხდომაზე პირდაპირ თემურ ლევან მგელაძე ქუთაისიდან თბილისში ჩამოსვლას ვერ ასწრებს და მომხდარის დეტალურად განხილვა დღესთვის გადაშთავს. მანამდე „დათვებს“ უქმად ყოფნას ამხანაგური მატჩი არჩივს და მეტოქედ ადგილობრივი „აია“ შეარჩივს.

ასეთი იყო ქართული რაზმის გუშინდელი დღე. იმეღია, კვანძი დღეს გაიხსნება, როდესაც სამივე მხარე კავშირის ოფისში შეიკრიბება და საბოლოო ვერდიქტიც ცნობილი გახდება. მანამდე კი კავშირი ამტკიცებს, ჩვენ „დათვების“ უფროსობასთან მოლაპარაკება გვექონდა, თუმც მატჩის გადადებაზე ვერ დაეთანხმეთ. თემურ ბენდიანიშვილი კი ირწმუნება, ჩემთვის არ უთქვამთ, თუ მატჩი ორშაბათს დაამტკიცეს და მე არაფერი ვიცოდით. ერთი რამ კი ცხადია: ყველა გზას კავშირისკენ მივყავართ, კავშირისკენ, რომელმაც ვერ უზრუნველყო ერთი კონკრეტული მატჩის გამართვა და, ვეჭვობთ, სათქმელსაც ბოლომდე ამბობდეს. თუ კავშირმა ორივე მხარე დროულად გააფრთხილა, მაშინ რატომ თობს პოზიციებს და თავისსავე დებულებას უგულებელყოფს?

ასეა თუ ისე, საქართველოს თასისთვის ბრძოლა ახლა კაბინეტში გრძელდება.

**ბაჩო სვანიძე**

NHL რეკულარული ჩემპიონატი

2 ნოემბერი

**ანაპიონი 5:2 ჩიკაგო (2:0 1:2)**  
1:0 კარია 4(3), 2:0 კარია 11(4), 3:0 რუჩინი 32(3), 3:1 ამონტი 38(4), 4:1 ბილსმა 41(2), 5:1 პოლსონი 45(2), 5:2 კოლდერი 51(7)

**დალასი 3:0 ნიშვილი (1:0 1:0 1:0)**  
1:0 ოფიტი 4(3), 2:0 მოდანი 28(4), 3:0 მოდანი 45(5)

**იანსუთონი 1:2 ქოლუმბუსი (1:0 0:1 0:1)**  
0:1 დავიდსონი 2(1), 1:1 კომბი 18(6), 1:2 მა-რშალი 37(4)

**ბარტონა 3:2 რინგვოდასი (2:1 1:0 0:1)**  
1:0 ფელინი 7(2), 1:1 მაკალაზოვი 15(1), 2:1 კა-პანენი 19(7), 2:2 ლინდროსი 28(4), 3:2 კაპანენი 39(8)

**ნიშვილი 4:2 ქოლუმბუსი (1:2 1:0 1:0 1:0)**  
1:0 ბრიუნგეტი 14(5), 1:1 უილსი 18(2), 2:1 ლაპტოვნი 21(2), 2:2 უილსი 30(3), 3:2 დაუდი 38(5), 4:2 შამინი 60(2)

**დემონტონი 2:1 აილანდასი (1:1 1:0 0:0)**  
0:1 ბიუსტი 2(4), 1:1 დრეიბერი 17(3), 2:1 დრეიბერი 30(4)

**ვაშინგტონი 2:2 ფინიქსი (1:2 0:0 1:0 0:0)**  
0:1 მიროვი 6(2), 1:1 იაგრი 14(5), 1:2 ლე-მი 19(4), 2:2 დალინი 59(5)

**ვაშინგტონი 4:1 ტამპა (2:1 0:1 2:0 0:0)**  
1:0 დიმიტი 3(3), 2:0 ბარნაი 13(5), 2:1 სენ-ტლუსი 15(6), 3:1 შატანი 42(4), 4:1 შატანი 55(6)

3 ნოემბერი

**სან ხოსე 5:1 მანაშაი (1:1 0:1 4:0)**  
0:1 კუი 4(2), 1:1 ნოლანი 17(5), 2:1 ვილსონი 44(2), 3:1 ტორნტონი 44(4), 4:1 შტუ-რაი 44(5), 5:1 8. სმიტი 57(2)

**სანტ ლუისი 4:1 ვაშინგტონი (0:1 3:0 0:1 0:0)**  
0:1 მონანი 30(1), 1:1 მაინისი 34(3), 2:1 დეი-ტრა 49(7), 3:1 უიტი 51(5), 4:1 ტაჩუი 58(7)

**პიტსბურგი 2:1 ტამპა (1:0 0:1 0:1 1:0)**  
1:0 მოროზოვი 5(1), 1:1 ლეკავალი 36(1), 2:1 ტიბეტსი 62(1)

**ნიშვილი 4:1 დალასი (0:1 2:0 2:0 0:0)**  
0:1 ნინიდავი 19(5), 1:1 იანსუთონი 34(2), 2:1 არნიზოვი 40(3), 3:1 ფიჯიერალდი 46(2), 4:1 უოკერი 59(4)

**კალვარი 6:2 მონრეალი (1:0 0:2 5:0)**  
1:0 მარკინი 24(3), 1:1 დავილი 23(3), 1:2 ზენდრა 24(3), 2:2 ტანსა 42(3), 3:2 პეტროვიტი 44(1), 4:2 ლოკერი 53(4), 5:2 პეტროვიტი 59(2), 6:2 კორიო 60(7)

**ვულფინგ 3:5 რინგვოდასი (1:2 1:0 0:3)**  
0:1 ფლერი 3(4), 1:1 ნილსონი 16(1), 2:1 პ. ბურე 26(5), 2:2 ლინდროსი 33(5), 3:2 პ. ბურე 34(6), 3:3 დორფი 54(4), 3:4 იორა 57(5), 3:5 ა. იობანასი 60(4)

**ოტავა 3:0 ვაშინგტონი (1:0 1:0 1:0)**  
1:0 პალოტი 7(5), 2:0 რუა 38(2), 3:0 უაი-ტი 51(6)

**ტორონტო 4:1 ქოლუმბუსი (0:0 1:1 3:0 0:0)**  
1:0 რაიხელი 21(3), 1:1 ტრუბანი 22(1), 2:1 ნოიგილი 48(5), 3:1 ტაგერი 60(4), 4:1 სუ-ნოი 60(6)

**ვინიპეგი 2:1 აილანდასი (1:0 0:2 0:0)**  
1:0 რუი 3(6), 1:1 პერი 30(12), 1:2 სკაი-რდი 37(1)

**ლოს ანჯელისი 4:1 ატლანტა (2:0 0:1 2:0)**  
1:0 რ. რობიტალი 15(1), 2:0 პინევი 20(6), 2:1 დომინილი 35(3), 3:1 ბელანე 42(2), 4:1 ბელანე 60(3)

**ნიუ ჯერსი 1:2 ვაშინგტონი (0:1 0:1 1:0)**  
0:1 ლაპინტი 6(6), 0:2 ტორნტონი 23(6), 1:2 ელიაზი 44(8)

4 ნოემბერი

**ბარტონა 1:0 ფინიქსი (0:0 0:0 0:0 1:0)**  
1:0 ვასილი 61(7)

**ნიშვილი 0:2 იანსუთონი (0:0 0:1 0:1 0:1)**  
0:1 კარტი 22(10), 0:2 კლირი 53(5)

**ანაპიონი 5:0 ატლანტა (1:0 1:0 3:0)**  
1:0 ბილსმა 3(3), 2:0 კარია 23(5), 3:0 ბილსმა 46(4), 4:0 ლეკლერი 50(5), 5:0 ტერდოვი 52(2)

**ჩიკაგო 5:4 დემონტონი (3:0 2:3 0:1 0:1)**  
1:0 კოლდერი 9(8), 2:0 ნიულანდერი 18(1), 3:0 კოროლიოვი 19(5), 3:1 ლ. რობიტალი 23(8), 4:1 ტომასი 28(7), 5:1 დევი 32(1), 5:2 ლარიონოვი 38(1), 5:3 პალი 39(7), 5:4 ლ. რობიტალი 52(9)




ნიუ ჯერსი — ბოსტონი. სკოტ გომესი ბოსტონელ მეკარე ბაირონ დაფოს შესყდა

კალოსნოვაკი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ანთალია (თურქეთი)

## მეზობლები მუთლუთი ახაყოზან



პაილ მუთლუ

**კალოსნოვის** სამყაროში, წონითი კატეგორიების მიხედვით თუ ვიძიებთ, იშვიათად თუ შევრაცხავთ რომელიმე სპორტსმენს საკუთარ წონაში უდავო ფაქტობრივად თუმცა არის ერთი გამონაკლისი — 56 კილოგრამი. ყველაზე მსუბუქე წონაში რა ხანია, პირველობას არავის უთმობს თურქი პაილ მუთლუ. ფიცარნაგზე ყოველი მისი გასვლა ჩემპიონობით სრულდება. მისთვის არც მსოფლიოს რეკორდებია უცხო. ქართველთათვის კარგად ნაცნობ ხმე-

ლთაშუა ზღვის სანაპიროზე, თურქულ ანთალიაში ვაჟთა 71-ე და ქალთა მე-14 მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ აშშ, იაპონია და ჩრდილოეთ კორეა უსაფრთხოების მოტივით თურქეთში არ ჩავიდნენ, ასპარეზობას, პირველ დღეს მაინც, ხიბლი არ დაუკარგავს. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის მასპინძელთა ჯილდოს, პაილ მუთლუს. ფიცარნაგზე ყოველ მის გამორჩენას თან სდევნდა თანამემამულეთა ოვაციები. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მუთლუ გამარჯვების კვარცხლბეკზე ავიდოდა და ასეც მოხდა, მაგრამ...

„დღევ საბანჯის“ სპორტულ ცენტრში, იქ, სადაც ასპარეზობები მიმდინარეობს, სამარისებური სიჩუმე გაემყვებელიყო. ყველა სულმოუთქმელად ელოდა მუთლუს გამოსვლას. მანაც ძალ-ღონე მოიკრიბა, შტანგას ხელი შეავლო, აიტაცა და... დარბაზი ერთ ალყურულმა სისარულმა მოიცვა. თურქმა ძალოსანმა სიდნის ოლიმპიური თამაშებზე დაძლეული მსოფლიოს რეკორდი ნახევარი კილოგრამით დაამძიმა — 138,5. დადგა აკერის ჯერიც. მუთლუს აქაც იმავეს გაკეთება სურდა, მაგრამ ძალა აღარ ეყო — შტანგა მხოლოდ მხრებამდე აიტანა. თუმცა მანამდე დაძლეული 162,5 კილოგრამიც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. ასე იყო თუ ისე, საერთო შედეგით — 300 კილოგრამის დაძლევით თურქმა ძალოსანმა სა-მშობლოს ოქრო მოუპოვა. მიუხედა-

ვად გამარჯვებისა, მუთლუ უკმაყოფილო ჩანდა.

„მე მხოლოდ იმის ნახევარი გავაკეთე, რაც მსურდა“ — მსოფლიოს რეკორდის დამყარების შემდეგ განაცხადა თურქმა ძალოსანმა, თუმცა ისიც აღიარა, რომ გამარჯვება არ გასჭირვებია. თავად განსაკუთრებული მსოფლიოსანმა, ტიანგელმა ვანგ შინ-იუნამ ორჯიდის ჯამში თურქზე 20 კილოგრამით ნაკლები დასძლია, ხოლო ბრინჯაოსანმა, კუბელმა უილიამ ვარგასამ — 277,5 კილოგრამით.

მსოფლიოს რეკორდის დაშობა ქალებმაც სცადა. ჩინეთის ჩემპიონმა გოო ვეიმ, რომლისთვისაც ანთალიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი საერთაშორისო ტურნირია, 48 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ორჯიდის ჯამში ყველას აჯობა და ასპარეზობის პირველი ოქროც მოიპოვა. მანამდე კი ჩინა ძალოსანმა თანამემამულე სიუჟა ლიუს მიერ შარშან ატა-ცში დამყარებული მსოფლიოს რეკორდს (87,5) შეუტია, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

**გიგა გურასაშვილი**

ვაჭება 56 კგ

1. პაილ მუთლუ (თურქეთი) 300 კგ
2. ვანგ შინ-იუნი (ტიანანი) 280 კგ
3. უილიამ ვარგასი (კუბა) 277,5 კგ

ქალები 48 კგ

1. გოო ვეი (ჩინეთი) 190 კგ
2. ბლენინგ უდო (ნიგერია) 175 კგ
3. ჩენ პან-ტუნგ ჩენი (ტიანანი) 170 კგ



ჩემპიონი პარსხით გაი-სტუ-მდის

3 ნოემბერი. ვერის ბალი

**სსუ 52:79 აზობი**

სსუ: გ. ფლენტი, ძიბიგური (8), ლაცუზხაია (1), ბ. ქვილითაია (5), აბულაძე (3); სორაია (4), ტაბატაძე (12), გ. ქვილითაია (5), ერქვანი (2), ტაბატაძე (2) აზობი: ა. ფლენტი (2), გოგობერიშვილი (23), კოკოლიშვილი (8), ბაბიაშვილი (25), მაჭარაძე (7), გაბისონია (3), დანელია (2), ა. ბონია (5), არნივაძე, ჯომეშელიშვილი (4)

მსაჯენი: როლანდ გელიგანი, დავით ანდრაძე

ქიშნისარი: თენგიზ ქიტაძე

3 ნოემბერი. ვერის ბალი

**დინამო 65:68 თსუ**

დინამო: ბ. ბერიშვილი, ტურაშვილი, რ. ჩხეიძე (19), ნინიაშვილი (7), კორძაძე მისურაძე (16), აკოლაშვილი (7), რუბინიძე (6), მიქაძე, ოგანესიანი (10)

თსუ: ნიკოლაძე (12), ხეცურიანი (13), შანიძე (19), ქარაბაგი (10), ახალციცი (11); ბ. მარკიოშვილი (3)

მსაჯენი: ზაზა მამალაძე, დავით ბერუკაშვილი

ქიშნისარი: როლანდ ხომერვიკი

3 ნოემბერი. ვერის ბალი

**ქუთაისი 74:96 მასკო**

ქუთაისი: გვიშაძე (25), ქოქოსაძე, ბარბაქაძე (15), ქირაქაძე (6), შანიძე (8); ცურცვაძე (4), ბადრიძე (12), ლომიძე, დარასველიძე (1), შავლაყაძე, პირტახია (3), კუპრაშვილი

მასკო: დ. ბერიშვილი (11), ი. ბერიშვილი (24), ნონელია (17), ფიცხელაური (8), სუბიშვილი (16); კრინელი, მჭედლიშვილი (2), კვიციანი (18), ვაშაყვიძე

მსაჯენი: ზურაბ აბაშიძე, მაია კუბლაძე

ქიშნისარი: ნოდარ დარასველიძე

3 ნოემბერი. ვერის ბალი

**სტუ 74:70 ბასკო**

სტუ: გაგნიძე, ი. ხოშტარია (24), დავითიანი (9), მდივანი (1), შენგელია (8); მარჯაშვილი (1), თათარაძე (5), ლოსაბერიძე (4), აბრამიძე (12), მინაშვილი (10)

ბასკო: მ. მარკიოშვილი (9), ბეგანიშვილი (4), ტყეშელაშვილი (5), იმნაძე, ბერძენიშვილი (9); თორთლაძე (15), ორმოცაძე (5), სლიშვილი (4), არხიზაძე (11), ათუაშვილი (8)

მსაჯენი: ზაზა მამალაძე, დავით ბერუკაშვილი

ქიშნისარი: მურმან ქურდიძე

თულიანმა შეტევაში მეხუთე პერსონალური მილი, ბათუმელებს იმედი ჩაესახათ, მაგრამ მინაშვილი შეუცდლომად თამაშობდა და მისი ძალისხმევით სტუ ლიდრობას ინარჩუნებდა.

თამაშის დამთავრებას წუთი უკვლავ, სტუ 70:68 იგებდა, როცა ხოშტარიამ სამიანი გააცუცლა. ორმოცაძეს 6-მეტრიანი ნიშნულის მიღიდან „ბასკოს“ დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ მისი ნასროლი უზუსტო გამოდგა. ბურთი აბრამიძემ მოხსნა და შენგელია მონახა, რომელმაც ანგარიში 72:68 გახადა. ხოშტარია ბეგანიშვილზე ჯარიმდება და სხვაობა კვლავ ორი ქულაა. შემდეგ რაც მოხდა, დიდხანს ემასხორებათ „ბასკოს“ გულშემატკივრებს. მაჭის დამთავრებას აქტიურობას აბრამიძის მიერ ბურთის დაკარგვა მოჰყვა და შედეგად ბეგანიშვილს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ მისმა ფარქვემდგნ ნასროლმა სტუს კალათში ადვილი ვერ მონახა, ისევე როგორც ბერძენიშვილის დამატებულმა. ბურთი ხელში მარჯაშვილს ჩაუვარდა, რომელმაც შენგელიას გრძელი პასი გადასცა, ჯარიმა და „ბასკოსთვის“ ყველაფერი დასრულდა.

არანაკლებ დამაბული იყო „დინამო“ — თსუს დაბრისპირება, სადაც გადამარჯვებული მუტად დრამატული ბრძოლის შემდეგ გამოვიდნენ.

„დინამო“ თამაში უხერხულ დაიწყო, ფარზე უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ მისი მოთამაშეები სროლისას სცოდავდნენ, რითაც სტუდენტებს სწრაფი შეტევების განხორციელების შანსი აძლევდნენ და გიორგი ნიკოლაძესაც მეტი არ უნდოდა. სწორედ მისი აქტიურობით მოიგო თსუ-მ პირველი მეოთხედი — 16:9.

სვენარი არც შემდეგ შეცვლიდა, ქარაბაგი და ახალციცი მეტოქის ფარს გაუმინაურდნენ და ქულების მოხვეჭა არ უჭირდათ. ამის გამო ლევან მოსეშვილმა მოედანზე არმენ ოგანესიანი შეიყვანა, რომელსაც თამაში არ წაუვიდა, იგი ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებდა. შანიძის და მარკიოშვილის სამქულიანების შემდეგ თსუ წინ გაიჭრა — 18:31. „დინამო“ შორ სროლებზე გადავიდა, მაგრამ ამაშიც მოეცარა ხელი. ტურაშვილის ნაცვლად შემოსულმა აკოლაშვილმა მიზანი ვერა და ვერ გაიხსროს და პირველი ნახევრის შემდეგ „დინამოს“ არ უღებინდა — 24:37.

მესამე ათწუთეულში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, შეუდარებელი იყო რევან ჩხეიძე, რომელმაც მარჯვენა ფლანგი აიკვია მას მხარი მისი უპირატესობა აუბა, რომელსაც მიზანი იშვიათად ღალატობდა. ოგანესიანიც მთავრად მეტოქის ფარს და 1:2 მოგებულ იქცაწუთეულის შემდეგ „დინამოს“ მეტოქეზე ოთხი ქულა აშორებდა — 35:39. მეოთხედის ბოლო წუთზე კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ჩხეიძემ და ჩუბინიძე ახერხა, შემდეგ კი თვითონ ჩააგლო და ანგარიში გაათანაბრა — 43:43.

თსუ ამ მატჩის მოგებას შანიძეს უნდა უმადლოდეს. რომ არა მისი სიზუსტე, სტუდენტები ამ თამაშს აუცილებლად წააგებდნენ. თავად განსაჯეთ: როცა ოგანესიანს ფარზე ბადალი არ ჰყავდა, ხოლო მისი ურბაძე ისე ჭრიდა მეტოქის დაცვას, როგორც დანა კარაქს, შანიძე იყო ერთადერთი, რომელიც „დინამოს“ მოხვეჭილ ქულებს ენაშურებოდა. მან ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგლო და მატჩის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე თსუ დინამოელებს ქულათ ჩამორჩებოდა — 61:66. როგორც იქნა, გამოფხიზლდა ახალციცი და ნიკოლაძესთან ერთად ახლა ის ეპასუხებოდა შეუჩერებელ მასურაძესა და ჩხეიძეს.

ნიკოლაძემ მატჩის ბოლო წუთზე საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა — 65:65. შემდეგ ახალციცამ გამოიღო თავი, მასურაძეს ჩაუჭრა, რომელიც უმალ დაჯარიმდა და თსუს მეფარემ სტუდენტები ორი ქულით დააწინაურა. ბოლო 30 წამში „დინამოს“ სამჯერ მიეცა მდგომარეობის გამოსწორების შანსი. ჯერ აკოლაშვილმა ესროლა ორჯერ, შემდეგ ჩხეიძემ, მაგრამ ვერაფერი შეცვალეს და „დინამო“ ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია.



სტუ — ბასკო. ბათუმელი მანუჩარ მარკიოშვილი (№ 4) და ალექო დავითიანი

**შაბათს** ვინც ვერის ბალის დარბაზში მივიდა, არ ინანა, რადგან ორი მეტად დაძაბული მატჩი იხილა. თუმცა გულშემატკივართა განსაკუთრებულ ყურადღებას დღის ბოლო შეხვედრა იწვევდა და მაყურებელმაც ძირითადად მისი დასაწყისისთვის იმატა.

თბილისში „ბასკოს“ ელოდნენ, ბოლო ორი წლის ჩემპიონს, რომელმაც სეზონის წინ ძირეული ცვლილებები განიცადა. ბათუმური კლუბი ძირითადად ბირთვმა დატოვა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობამ მას სათანადო შეცვლა გამოუწახა.

ზღვისპირელები ტრადიციას არ დალახებენ და „ბასკოს“ ლეგიონერები არც წლეულს აკლია. მეტოქე მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის შემცვლელად გუნდში მისი კონსულტანტ-გოგობერი, რუსი პაველ გოგევიძეა, რომელმაც ოთხი თვე ახალწვეულების შეთამაშებაში გაატარა. ჩემპიონატში „შეკარდენტან“ და „ქუთაისთან“ შინ გაგარჯიშების შემდეგ ჩემპიონები დელაქალაქს პირველად სტუმრობდნენ და, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ყველას აინტერესებდა, როგორ გუნდს მოუყარეს ბათუმში თავი.

ინტერესს ისიც აორმაგებდა, რომ „ბასკოს“ მასპინძლად შარშანდელ ფინალში მისგანვე ძლეული სტუ ჰყავდა, რომელმაც ბათუმური კლუბის დარად გვარიანი ცვლილებები მოხდა. წინა ტურში სტუ-მ ექსტრემალური გაძლიერებული თსუ ადვილად დაამარცხა და აჭარულ გუნდსაც დიდი გულით ხვდებოდა. მოკლედ, ინტრიგა საქმარისი იყო და მატჩმაც გაამართლა მასზე გაცემული ავანსები.

ორივე გუნდმა თამაში დაცვაზე ორიენტირებით დაიწყო და პირველ ხუთ წუთში ისინი ერთმანეთს ზვერავენდნენ. სწორედ დაცვითი თამაშის შედეგია ის, რომ მანუჩარ მარკიოშვილმა გათანაბრებელი სამქულიანი თამაშის შესაძენ წუთზე ჩააგლო — 3:3. სტუ-მ რამდენჯერმე სცადა სწრაფი თამაშის გაჩაღება, მაგრამ დავითიანიანისა და ხოშტარიას გარდევნებს საწყის წუთებში ნაყოფი არ გამოუღია. ბათუმელები, ისევე როგორც თბილისელები, ხშირად უხეშობდნენ, თუმცა საჯარიმო სროლებით ვერც ერთი გუნდი ვერ ხეირობდა. თამაში ათწუთეულის მიწურულს გაიხსნა, როცა მოედანზე შემოსული დავითიანიანის მიერ შეტევაში მისწრაფით ამოქმედდა, მას ტოლს არც მარჯაშვილი და ხოშტარია უღებდნენ და ამ უკანასკნელმა მეშვიდე წუთზე მორიგი გარდევით ანგარიში გაათანაბრა — 10:10.

მეოთხედის ბოლო წუთებზე პაველ გოგევიძემ მოედანზე ათუაშვილი შეუშვა, რომელიც ბათუმელთა მრავალსლონიანი კომბინაციის შედეგად კარგ სასროლ პოზიციაზე დარჩა და მისი ორქულიანი შემდეგ „ბასკოს“ ოდნავ მოსწყდა მეტოქეს, მაგრამ ბოლო წამებზე ახალშემოსულმა მამუკა აბრამიძემ გაიბრწყინა და ორქულიანს ერთი საჯარიმოც მიაყოლა — 14:16.

ბა მოიპოვეს — 22:27, მაგრამ შენგელიას მცირე ხნით გაუნებლობით სტუს ბერი არ დაუკარგავს, ხოშტარია მუდამ ჩაასფრებულ იყო და ბათუმელებს შეტევაში მცირე წაფორხილება კი ძვირად უჯდებოდათ. დავითიანიც არ იყო უსაქმოდ, მისი აქტიურობით სტუ-მ ოთხი წუთის შემდეგ ლიდრობა კვლავ დაიბრუნა — 28:27. აქ კი საქმეში რუსი ფიოდორ სლიშალოვიც ვიხილეთ, რომელმაც ზედიზედ ჩააგლო ოთხი ქულა, რასაც ბერძენიშვილმა ფარქვემდნაძე მიაყოლა და „ბასკოს“ უპირატესობამ კვლავ ხუთ ქულას უწია — 28:33. პირველი ნახევრის ბოლო წუთზე ზღვისპირელები 4 ქულას იგებდნენ, თუმცა ჯერ ლოსაბერიძემ და შემდეგ ხოშტარიამ იმარჯვეს და ყველაფერი ახლიდან დასაწყები გახდა — 36:36.

როგორც ანგარიშიდან ჩანს, პირველმა ნახევარმა ვერაფერი გარკვეა. ფარზე უპირატესობას ვერც ერთი ფლობა და გუნდული ძირითადი უკანასახული ინდივიდუალური გარდევების ხარჯზე იყენებ, განსაკუთრებით კი სტუ ირაკლი ხოშტარია რომ არა, ბათუმელებს საქმე არხეინად ექნებოდათ, მაგრამ მის შეჩერებას სტუმრები ვერაფრით ახერხებდნენ. ცხადი იყო, რუსი მწვრთნელი ბასკოელებს შესვენებაზე მის გაუნებლობაზეც ესაუბრებოდა, თუმცა, როგორც მესამე ათწუთეულში გამოჩნდა, სტუმრებს საფრთხე სხვა მხრიდან დაემუქრათ.

მატჩი მარკიოშვილის აქტიურობით განახლდა. მან ჯერ გრძელი დრიბლინგის შემდეგ თვითონ დალაშქრა თბილისელთა კალათი, ხოლო შემდეგ მიზანმარტოვდა არც საშუალო მანძილიდან უმტყუნა და „ბასკოს“, ვინ მოთვლის მერამდე ირე, დაწინაურდა — 36:40. აბრამიძემ ორი ქულა ჩააგლო, ხოშტარიამ კი შორიდან გაიხსროს და ახლა სტუდენტები გალიდურდნენ. ხოშტარიას თორთლაძე არ ჩამორჩა, შეტევის ბოლო წამზე მანაც სამქულიანი ჩააგლო და, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ლიდერის ცვალებადობას დიდი დღე აღარ ეწყრა. თამაშის 25-ე წუთზე ხოშტარიამ დამატჩში პირველად და საბოლოოდ დაწინაურა თავისი გუნდი — 44:43, რის შემდეგაც, მომდევნო ოთხი წუთი ბურთი ერთ კალათში ვარდებოდა. შეცვლაზე შემოსული ვახტანგ მინაშვილი ჩინებულად ჩაერთო თამაშში და შენგელიასთან ერთად ბათუმელთა ფარი დაიპყრო. ამ მატჩის შემდეგარე ბათუმში ალბათ ინანებდნენ, მამუკა აბრამიძე გუნდში რომ არ დაიტოვეს. ყოფილი ბასკოელი მეტოქის დაცვის ხაზში იოლად პოულობდა ნაპრალებს და გარდევებით არაერთი ქულა მიითვალა. ხოშტარიამ ერთი სამქულიანიც ჩააგლო და კვლავ ძველ საქმეს მოჰკიდა ხელი. ის და დავითიანიანი რიგრიგობით აბითურებდნენ სტუმართა დაცვას და თუ მიზანი უმტყუნებდათ, შენგელია — მინაშვილის იმედად იყვნენ. ეს მონაკვეთი სტუ-მ 14:0 მოიგო და ბოლო მეოთხედამდე 3 წუთით ადრე თორმეტქულიანი უპირატესობასაც მიაღწია — 55:43. აქ კი ნვეზარ ჭვიშვილმა ხოშტარიას დაცვების საშუალება მისცა და „ბასკომ“ ცოტა შეება იგობო. არხიზაძის ქულაზე სტუმრებს ოდნავ გამოუკეთა საქმე — 56:49, მაგრამ ბოლო წუთზე მინაშვილი გაიხსროსა და „ბასკოს“ ცოტა შეება იგობო. არხიზაძის ქულაზე სტუმრებს ოდნავ გამოუკეთა საქმე — 56:49, მაგრამ ბოლო წუთზე მინაშვილი გაიხსროსა და „ბასკოს“ ცოტა შეება იგობო. არხიზაძის ქულაზე სტუმრებს ოდნავ გამოუკეთა საქმე — 56:49, მაგრამ ბოლო წუთზე მინაშვილი გაიხსროსა და „ბასკოს“ ცოტა შეება იგობო.

მარჯვენა ფლანგი აიკვია მას მხარი მისი უპირატესობა აუბა, რომელსაც მიზანი იშვიათად ღალატობდა.

საქართველოს ჩემპიონატი

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**სტუ 93:62 ქუთაისი**

სტუ: სულაძე (8), ა. ხოშტარია (9), აბრამიძე (18), ოთიურთიძე (8), მდივანი (14); გაგნიძე (14), მარხვაშვილი (9), მინაშვილი (13)

ქუთაისი: ვინაძე (17), ბადერიძე (16), ბარბაქაძე (14), შანიძე (1); ცერცვაძე (10), ქოქიაშვილი (10), დარბაზიძე (9), შალვაშვილი (4), ბერძენიძე, კუბარაშვილი

მსაპრობინო: როლანდ გელაშვილი, ლია ქაჯაია

აღმსარებელი: ნოდარ დარბაზიძე

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**აზოტი 73:72 ლიანაო**

აზოტი: ა. ლენტი (16), გოგობერიშვილი (23), კოკლიშვილი (5), ბაბიაშვილი (10), ბერუაშვილი (15); გაბისონია (2), მაჭარაძე (2)

ლიანაო: მისიურაძე (16), მიქაძე (13), რ. ჩხეიძე (11), მუბინიძე (13), ოგანესიანი (8); ჩაგლიშვილი (7), ტურაბაშვილი, ბ. ბერიშვილი (3), ნინიაშვილი (1)

მსაპრობინო: დავით ბერუაშვილი, ზურაბ აბაშიძე

აღმსარებელი: როლანდ ხომერიკი

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**გაგანი 92:64 სსუ**

გაგანი: დ. ბერიშვილი (22), ი. ბერიშვილი (22), ნოზაძე (14), ფიციანთაძე (4), სუბინიძე (28); გრიშელაძე, სარიშვილი (1), ვაშაძე (2)

სსუ: სორდია (22), ლაცუზაძე, ჩიტაშვილი (2), აბულაძე (6), ვრჯაბია (2); ძიძიგური (2), გ. ლენტი (6), ტაბატაძე (10), ბ. ქვიციანი (2), ვ. ქვიციანი (7), ზ. ხოშტარია (5)

მსაპრობინო: ზაზა მამალაძე, შავერვაძე

აღმსარებელი: თენგიზ ქიქოძე

4 ნოემბერი. ვერის ბალი

**ოსუ 73:54 შპსარქანი**

ოსუ: ვეფვიძე (1), ხეცურიანი (16), შანიძე (4), ქარაბაგი (16), ზ. სანიძე (4); არსიაშვილი, ნიკოლაძე (6), გ. მარკოშვილი (15), ზანგურაშვილი (4); ახალკაცი (8), ვ. სანიძე

შპსარქანი: გახაზიანი, გიგაური (11), გ. ჩხეიძე (8), ბ. ნოზაძე (12), ქვიციანი (2); გულაბაძე (8), ნ. ნოზაძე (8), ნუცუბიძე, გელაშვილი (5)

მსაპრობინო: ზაზა მამალაძე, შავერვაძე

აღმსარებელი: მურმან ქურთიძე

მოედანს გახადე, ჩხირო...

ფაქტი თურბამა

შაბათს „ბასკოს“ მძღველებმა სტუმრად კვირის დასვენება და აუტსაიდურ „ქუთაისთან“ კარგი ვარჯიში მოიწყო. სტუდენტების სამი კალათბურთული აკლამბო, რომელთაგანაც ლაშა ლოსაბერიძეს ჰქონდა საუბრეობიანი მიზეზი, თამაშზე არ მისულიყვნენ: ბათუმელებთან შეხვედრისას მას მოწინააღმდეგის ხელი თვალში მოხვდა და მატჩი ვეღარ გააგრძელა. მაგრამ არც მისი და არც შეხვედრისას და დავითულიანის არყვანა სტუ-სათვის არავფრის წყვეტდა. ამ მატჩში გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ იყო ცნობილი და ქუთაისელთა პირველი მეთხედვი გაფაფხურების არავითარი აზრი არ ჰქონდა — 24:21. მეორე ათწუთებში მოედანს ხოშტარია დაუბრუნდა, სულაძესთან ერთად სწრაფ თამაშს მიჰყო ხელი და ანგარიშშიც მატჩმა სტუ-ს სასარგებლოდ იწყო. ეს პროცესი შემდეგაც გაგრძელდა და მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები თავს არ იკლავდნენ, საბოლოო ანგარიში მათ სოლიდურ უპირატესობაზე მეტყველებს.

არც „მაკაბის“ გასტუმრებმა ვაკე-ბეთის სუსტი სოხუმელების დამარცხება და ხელმეორე ოფისის ღვრის გარეშე გამარჯვება. მაკაბელთა წარმატების მიზეზი, რაღა თქმა უნდა, მძღვე ბერიშვილები არიან, რომლებიც თვალდაზრუნული უკლებლად ერთმანეთს და უსწრაფესი პირველი შეტევებით სსუ-ს დაეცას თავებულს აწყველინებდნენ. საინტერესოა, რომ მათ 44 ქულასთან ერთად რვა ჩაგდებულ სამჭულანოც თანაბრად გაიყვეს, რასაც სუსტის 28 ქულაც დაერთო და აბა, „მაკაბის“ ვინა დაეწყო.

არბიტრებმა ერთი-ორჯერ მართლაც შეცვლიეს, მაგრამ რეგულაციების თამაშის ბოლო წამებზე მსაჯთან კამათის ნაცვლად მოედნისკენ რომ გაეხვდა, ადვილი შესაძლებელი იყო, „დინამოს“ არ წაეგო. მატჩის დამთავრებას 18 წამი აკლდა, როცა ბაბიაშვილმა ჩაგლიშვილითან თამაშისას მეხუთე პერსონალური მიღო და მოედანი დატოვა. „დინამო“ 71:73 აგებდა და ჩაგლიშვილმა პირველი სროლა ჩააგო. მეორე კი გაუცუდდა და ფარდინ ასხელტილი ბურთი დინამოელ ბერიშვილს მიუვიდა, რომელმაც ჩხეიძე მოძებნა. როცა ეს უკანასკნელი რუსთაველთა ფარს მიუახლოვდა, მის წინ ნუგზარ კოკლიშვილი გაჩნდა და ბურთი ხელშიღამდ გამოაცალა. როგორც ყველა დინამოელმა, ისე ჩხეიძემაც ჩათვალა, რომ აზოტულმა ეს წესების დარღვევით გააკეთა და მსაჯთან კამათი გააბა. კოკლიშვილი კი, ცხადია, დინამოელთა ფარისკენ გაემართა, მაგრამ ბურთი ვერ დაამორჩინა და მას კვლავ ბერიშვილი დაეპატრონა. სირენამდე ხუთიოდ წამი რჩებოდა, როცა მან მეტოქის ფართან შორიანობის მდგომარეობაში შენიშნა და ბურთი მისკენ გაეხვდა, „ჩხირო“ კი კვლავაც მსაჯთან კამათობდა, მოედნისკენ ხურგმეტიკვით იდგა. ბურთი მეტოქეს ჩაუვარდა ხელში და ორ წამში საფინალო სირენაც გაისმა. „აზოტმა“ რომ თბილისელებს სძლია, ეს უპირველეს ყოვლისა რამაზ გოგობერიშვილის დამსახურებაა, რომელსაც ფედერაციის დისციპლინარებმა ორი მატჩი შეუნდეს და მასთან ერთად „აზოტთან“, „დინამოში“ გადარაგებულ მამუკა ტურაშვილსაც მისცეს თამაშის უფლება.

მსაჯებისადმი უკმაყოფილება მატჩის არც ნახსენებ ეპიზოდებზე აკლდა, მაგრამ ძირითადად დინამოელთა მხრიდან. „აზოტი“ კი მეტად გაწონასწორებულად გამოიყურებოდა. რუსთაველებმა მატჩის პირველი ნახევარი გოგობერიშვილისა და ბერუაშვილის აქტიურობის ხარჯზე 38:33 მოიგეს, რის შემდეგაც „დინამო“ გამოფხიზლდა და წინა დღის მსგავსად დიდებული მესამე მეთხედვი ითამაშა. ამჯერად ჩაგლიშვილმა იყარა. მას მიქაძემაც აუბა მხარი და ბოლო მეთხედვის წინ უკვე „დინამო“ დაწინაურდა — 59:56. მეოთხე ათწუთებში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ცხადი იყო, რომ მატჩის ბედი თამაშის ბოლოს გაირკვეოდა. ასეც მოხდა.

აზოტი	5	4	1	374:332	9
სტუ-ჭყოსელი	4	4	0	365:261	8
დინამო	5	3	2	414:359	8
მაკაბი	4	3	1	342:304	7
ოსუ	4	3	1	301:271	7
ბასკო	3	2	1	261:183	5
ქუთაისი	5	0	5	347:486	5
შეგარდნი	4	0	4	224:300	4
სსუ	4	0	4	241:373	4

ნუ ჩასვხებით შპსს!

2 ნოემბერი

**გაგანი 83:90 ქლივიანი**

გაგანი: ვარტყერი (12), ე. ჯონსი (10), გილი (4), გრანტი (16), მურინიძე (17); პაუსი (11), ელისი (8), მევი (3), მარქი (2)

ქლივიანი: მილერი (30 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), ბერსონი (17), ჯ. ჯონსი (10 ქულა, 10 მოხსნა), მიმი (16), დოლივი (6); სტიტი (9), დევისი (2), სკინერი, კოულზი

3 ნოემბერი

**ატლანტა 90:83 გაგანი**

ატლანტა: დევისი (11), ტერი (20), აბდურაბი (17), კროფორდი (2), მუშაბედი (13 ქულა, 14 მოხსნა); გლოვერი (13), მოტოლა (10), კუკონი (4), ვონი, ბოუდლერი

გაგანი: ვარტყერი (7), ჯონსი (17), გილი (5), გრანტი (4), მურინიძე (23 ქულა, 12 მოხსნა); ელისი (11), პაუსი (8), შამილტონი (8), მევი

„მაიამი პითისთის“ ორი ტყუპის-ცალივით ერთნაირი მარცხებით, ხოლო მის ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიასთვის უმოქმედოდ ჩაიარა ამ უქმეებმა. ვოვა სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ელოდება მაიამურ დებიუტს, მწვერთვით პატ რაილი ჯერაც თავს იკავებს მისი დასაქმებისგან.

„მაიამის“ კი კარვად არ უნდა მისდლოდეს საქმე, რასაც პარასკევს და შაბათს ორ უხეირო გუნდთან წაგება მოწმობს. ამას რაილი შეუთამაშებლობას აბრალებს, ზოგადად სპეციალისტები კი არათანაბრად და არასრულფასოვნად დაკომპლექტებულ შემადგენლობას. რაილი არ თვლის, რომ ტიმ პარლვეი დიდი დანაკარგია, ხოლო მისი შემცვლელი ენტონი კარტერი უნიჭო კალათბურთელი, მაგრამ „კლიველიანთან“ მარცხის შემდეგ შესაძლოა ეს აზრი შეერყა. საშუალოზე საშუალო გამოამაშებელმა ანდრე მილერმა იორული დაკვითი ნაგებობა და რაილის შევირდებს 30 ქულა ჩაუგდო, ამას 12 პასი და 10 მოხსნაც მოაყოლა და სამაგი დოლივის შესრულებით ეს თამაში კარიერის რჩეულ მატჩთან შორის ჩაწერა. შერცხვა „მაიამის“ კიდევ ერთი უკანასკნელი ვიდეო ზონიც იგი წინა სეზონში „მაიამის“ პირველი მექველ გახლდათ, „კლიველიანთან“ იგი 10 ქულა მისი შემოიფარგლა, საზოგადოდ, უხეირო ოპონენტს ვესლი ბერსონს კი 17 ქულა ჩააგდებინა.

ფლორიდალთა უკანა ხაზმა ვერც „ატლანტაში“ გამოიჩინა თავი. „ხშირად ვვარდებოდით პერიმეტრზე, ნაცვლად იმისა, რომ დაბალი მეტოქეები ფარქვეშ შემოგვეშვა და იქ გავემსაფხობოდით. ვიმელოვნებ, დროთა განმავლობაში ხარვეზებს გამოვასწორობთ“ — ამბობს პატ რაილი. ასევე ოპტიმისტურად განწყობილი გუნდის ლიდერი ალონზო მურინიძე: „გუნდში ბევრი ახალი მოთამაშეა და მათ საკუთარ თავზე ვერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაონ. არა მგონია, ამაზე ცუდად ვითამაშოთ. ჩვენ აუცილებლად მოვემატებით“.

2 ნოემბერი

**ტორონტო 109:92 ფალსა**

ტორონტო: ვარტყერი (25), ბეტსონი (23), დალასი: პარდევი (17), ფინლი (17)

**იწვინა 117:107 ორლანო**

იწვინა: როუზი (24), მილერი (17), ორლანო: არმსტრონგი (23)

**პუბლიკი 98:82 ჩიკაგო**

პუბლიკი: უოლკერი (23 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

ჩიკაგო: მურსერი (22), ფიზერი (19)

**შარლოტი 97:93 ნიუ იორკი**

შარლოტი: დევისი (18), მაშურანი (17), ნიუ იორკი: სპრიუელი (19), პოუსტონი (15)

**დეტროიტი 102:88 ნიუ ჯერსი**

დეტროიტი: სტიუკაუზი (24), რობინსონი (18)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (17)

**მინესოტა 111:102 მიწვინი**

მინესოტა: გარნტი (30 ქულა, 14 მოხსნა), შერბიაგი (22)


მიწვინი: ბუტი (22), ვილიამსი (16)

**ლიუკსონი 117:94 ვინიპი**

ლიუკსონი: ონილი (36 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება), პრაიანტი (24)

ვინიპი: პარდევი (25), მარბერი (21 ქულა, 11 პასი)

„ტორონტო რეპტორს“, როგორც იქნა, ელირსა მშობლიურ კვლევებში თა-



გაგანი — ფილადელფია. მაიკლ ჯორდანს ოთხ ფილადელფიელსაც არ შეუშინდა

მაში და კანადურმა გუნდმა ფლორიდაში ორი მარცხის შემდეგ სეზონის პირველი გამარჯვება ჩაიწერა. მასპინძელმა ვინ კარტერმა მანამდე დაუმარცხებულ „დალასს“ პირველ მეოთხედში თერთმეტი ქულა ჩაუგდო, მისმა თანაგუნდელმა მორის ბეტსონმა — ერთი მეტი „ტორონტო“ პირველ ოთხ წუთში 16:2 დაწინაურდა, კიდევ ორი წუთის შემდეგ როცა ანგარიში 20:9 იყო, დალასელმა დიკ ნოვიციმ კოჭი იტყინა და ინტრიკავ ავტომატურად გაჭრა.

ინდიანაპოლისში იქაურმა „მარდუბა“ ორ ორლანდელს სუპერვარსკვლავს — გრანტ პილსა და ტრევის მაკგრედის ჯამში 24 ქულის მეტი არ ჩააგდებინა და სახელოვან გამარჯვებასაც მიადგინა.

ჩემპიონი „ლიუკსონის“ ვეება ცენტრმა მაიკლ ონილი „ფინიქსთან“ სასწაულები აკეთა, 18 საჯარიმოდან 16 ჩააგდო. „ლიუკსონის“ ცხადია, მოიგო. მისი მომდევნო მეტოქეთა მწვერთვლები კი ალბათ უცილობლად ურჩევნ შევირდებს, დავიწყეთ ტაქტიკა — „ჩასვხით შპსს“ და დღერთი არ გაგიწყნოთ, ონილი არ ეუხეშოთ.

3 ნოემბერი

**ვაშინგტონი 90:76 ფილადელფია**

ვაშინგტონი: შამილტონი (29), ჯორდანი (20)

ფილადელფია: კლარკი (22)

**კლივიანი 69:99 ორლანო**

კლივიანი: მილერი (20)

ორლანო: მაკგრედი (22 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**ნიუ ჯერსი 95:85 შარლოტი**

ნიუ ჯერსი: ვან პორნი (28), მარტინი (16)

შარლოტი: კემბელე (26), ვესლი (16)

**ჩიკაგო 84:79 ნიუ იორკი**

ჩიკაგო: ენტონი (17), მურსერი (17)

ნიუ იორკი: სპრიუელი (17)

**მიწვინი 105:99 პუბლიკი**

მიწვინი: ალენი (32), კასელი (25 ქულა, 12 პასი), რობინსონი (24 ქულა, 12 მოხსნა)

პუბლიკი: პირსი (33), უოლკერი (29 ქულა, 17 მოხსნა), ჯონსონი (23)

**სიეტლი 79:91 ნიუ ჯერსი**

სიეტლი: მისონი (18)

ნიუ ჯერსი: მელონი (28 ქულა, 11 მოხსნა), მარბერი (23 ქულა, 13 მოხსნა)

**პიუსტონი 88:90 მინესოტა**

პიუსტონი: მონი (24), ფრენსი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

მინესოტა: გარნტი (37 ქულა, 12 მოხსნა)

**დეტროიტი 94:106 სატარამონი**

დეტროიტი: ვან ეტელი (32)

სატარამონი: სტოიაკოვიჩი (24), თურქოღლუ (19)

**პორტლენდი 90:106 სან ანტონიო**

პორტლენდი: ელისი (30), გოლესი (21)

სან ანტონიო: სმითი (36), დანანი (29 ქულა, 15 მოხსნა, 5 დაფარება)

**კლივიანი 108:110 მიწვინი**

(ძირითადი დრო 98:98)

კლივიანი: რიჩარდსონი (26), ბრენდი (19), ოდომი (18)

მიწვინი: სტიტი (29 ქულა, 19 მოხსნა), მილი (20)

წინა სეზონის უტვირთვასი მოთამაშე ალენ აივერსონი ნაოპერაციები იტყინა მომუშაობის უფლებას და მის „ფილადელფიას“ გამარჯვება სანატორელი გახლდა. „სიქსონს“ ხელი-ხელ მესამე მატჩი დათმო სტუმრად მაიკლ ჯორდანის „ვიზარდსთან“. თავად ჯორდანს ბრწყინვალედ არ უთამაშა, თუმც არც აუცილებლად ვინმეს.

სამ ნოემბერს „ვაშინგტონთან“ ერთად ჯორდანის ძეგლი გუნდშიც მოიგო, „ჩიკაგო ბულზი“ მინ დაუხვდა მასზე ბევრად ძლიერ „ნიუ იორკს“ და დააჩოქა. წინა დღით „მაიამის“ მძღველი „კლიველი“ შაბათს მინ „ორლანდოსთან“ შერცხვა.

4 ნოემბერი

**ლიუკსონი 100:96 იუტა**

ლიუკსონი: ბრაიანტი (38), ონილი (30)

იუტა: მელონი (26)

**დეტროიტი 100:78 ვაშინგტონი**

დეტროიტი: სტიუკაუზი (28), ვილიამსონი (18)

ვაშინგტონი: ჯორდანი (19)

**მიწვინი 96:86 პორტლენდი**

მიწვინი: რაიტი (33 ქულა, 26 მოხსნა), ვილიამსონი (21)

პორტლენდი: ელისი (26), გოლესი (16)

**მიწვინი 85:94 ფალსა**

მიწვინი: რაიტი (33 ქულა, 26 მოხსნა), ვილიამსონი (21)

ფალსა: პრაიანტი (36), ფინლი (24)

**ტორონტო 113:100 იწვინი**

ტორონტო: ვარტყერი (28), დევისი (21), ბეტსონი (18)

იწვინი: ონილი (21), როუზი (17)

**ვინიპი 100:103 პიუსტონი**

ვინიპი: პარდევი (31), მარბერი (27)


პიუსტონი: მონი (26)

**სატარამონი 103:83 სან ანტონიო**

სატარამონი: დიევი (25 ქულა, 11 მოხსნა), მიმი (20)

სან ანტონიო: დანანი (17 ქულა, 13 მოხსნა)

მემფისელი ცენტრი შარონ რაიტი „დალასთან“ შეხვედრის დღეს 26 წლისა შესრულდა და დაბადების დღე კარიერის რეკორდებით — 33 ქულით და 26 მოხსნით აღინიშნა. მისი და გველა მემფისელის სამწუხაროდ, ამ უხეირო გუნდის გასამარჯვებლად ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.



კოსტია ძიუმ ზაბ ჯუდას მარჯვენა დასცხო...

REUTERS ლას გუბალიძე

# კოსტია ძიუმ ზაბ ჯუდას მარჯვენა დასცხო!

და 33 წლის განმავლობაში პირველად, ქვე ველტერის წინას უდავო ჩემპიონი ჰყავს ეს გახლავთ კოსტია ძიუმ (28-1, 23 ნოკაუტი), რომელმაც ლას ვუგასის „MGM გრანდში“ ზაბ ჯუდა დაანოკაუტა. ზაბ ჯუდა ამერიკელია, ნიუ-იორკელი, ბრუკლინელი და ამიტომ, ამერიკელები აცხადებენ, რომ ასეთი საუკეთესო გადაწყვეტილება რეფერის 1990 წლის, კერძოდ ხულოთ სეზარ ჩავესისა და მეღვინე ტელორის ბრძოლის შემდეგ არ მოუვლიდა.

ეს ასე მოხდა: მეორე რაუნდის დასრულებას ათი წამი რომ აკლდა, ძიუმ ჯუდას მარჯვენა დასცხო და რინგის ბოვიერებს მიანარცხა. ჯუდა დაბარბაცდა, დაკარგა, ერთხანს გაურკვევლობაში იყო, მაგრამ მალე მოიკრიბა გონება, წამოდგა და ბრძოლის გაგრძელება ითხოვა. ამასი დიდი როლი მამამისმა და მისი სეკუნდანტების ჯგუფმა ითამაშეს, თუმცა რინგის გადამბა, იქითა კუთხესთან უკვე შეიმობდნენ. ძიუმ IBF-ის ტიტული WBC-სა და WBA-ს ქამრებს მიამატა.

რეფერი, ჯეი ნელი ხელებს მაშინვე იქნევა, ჯუდა ბოვიერებს რომ ენარცხებოდა და ბარბაცებდა. ეს ხელის ქნევა ბრძოლის დასრულებას ნიშნავდა, არადა ამასობაში, რაუნდის დასრულებამდე წამიდან დარჩა და ეს წამი რომ გაეძლო, ამერიკელს მერე იქნებ შესაძლებელი შეესვენებაც წახმარებოდა.

ასე იყო თუ ისე, ნელმ ბრძოლა შეწყვიტა, ჯუდა დამარცხებულად გამოაცხადა და მიიღო კიდევც ბრუკლინელი გაცეცხლდა, სრულიად უმართავ ად-

მიანად იქცა, რინგზე სირბილი და ბლაკილი დაიწყო, რაც ბოლოს რეფერიზე თავდასხმაში გადაიზარდა. მის დასაოკებლად „MGM გრანდის“ უსაფრთხოების ლამის მთელი პერსონალი ჩაერთო.


არადა, ძიუმს კუთხეში ისევ იდმოძუნენ და შეიმობდნენ.

„რეფერი მართალი იყო ბრძოლა რომ შეწყვიტა — თქვა შემდეგ ძიუმ — წინააღმდეგ შემთხვევაში ჯუდა მართლა ძალიან დამავდებოდა. რეფერი ვალდებულია ჩვენი, მოკრძალების ჯანმრთელობაზე იზრუნოს, რაც მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ერთი წამი რინგზე შესაძლოა შემდეგ მთელ ცხოვრებად იქცეს.“

პირველი რაუნდი კი ძიუმ წააგო: „ვეფიქრობ ამის მიზეზი რაუნდის შუაში ჯუდას შესრულებული რამდენიმე დარტყმა იყო. სამაგიეროდ მეორე რაუნდი მთლიანად ჩემი გახლდათ. ზოგადად კი ასე ვიტყვი: როდესაც ადამიანი უდავო ჩემპიონის წოდებისთვის იბრძვი და დიდ მეტოქეს ნოკაუტით ამარცხებ, ეს საუცხოო შედეგია. მე ისტორია შევქმენი. ამ წონაში ხომ უპირობო ჩემპიონი მსოფლიოს 1968 წლის შემდეგ არ ჰყოლია და აი, ეს მე ვარ!“

პრესკონფერენციაზე გამოვიდა ზაბ ჯუდაც: „მეტოქემ მართლაც კარგად მოიქნია და დამცა, მაგრამ აუღეკა. მეონი არც დაუთვლიათ. ბრძოლა არღე შეწყვიტეს. ყველამ ნახა, რომ მე გონება მოვიკრიბე და ბრძოლის გაგრძელება შემიძლო.“

**ბუბა სინგარულიძე**



ამერიკელი ერთხანს მთელს რინგზე ბარბაცებდა

REUTERS ლას გუბალიძე

# ტრაპიანი დედოფალი ქალუბრა დიდი შფავულება აიღო

მიუნხენი (გერმანია). WTA-ს ჩემპიონატი  
საპრიზო 3 მილიონი \$

**მეოთხედფინალი. სანდრინე ტასტინუ (საფრანგეთი) — ვინიფერ კაბრიატე (1, აშშ) 6:3, 4:6, 6:3; სანდრინე უილიამსი (7, აშშ) — ფიუსტინე ტენი (4, ბელგია) 6:3, 7:5 (7:5)**

**ნახევარფინალი. ლინდსი ფიჩინა (2, აშშ) — კიმ კლაისტერსი (3, ბელგია) 1:6, 6:3, 7:5 (7:5); უილიამსი — ტესტუ 6:3, 6:4**

**ფინალი. უილიამსი — დევენპორტი (ტრაპია)**

მიუნხენში ქალთა სეზონი დასრულდა. წლის ბოლო, პრესტიჟული და უხვშემოსავლიანი შეჯიბრი სერენა უილიამსმა მოიგო. მიიღო თითქმის უბრძოლველად, რაშიც ვეულისხმობთ, რომ ფინალამდე საკმაოდ ადვილად მიმოყარა მეტოქეები, ბოლოს კი ჩოვანის გაქნევა არ დასჭირვებია, პირველი პრიზი ხონით მიართვეს. მიზეზი მეტოქის ტრაპია გახლდა.

ტურნირის მოგება სერენა ჩოვანის რეიტინგ-ლისტის მე-1 ადგილზე დააყენა, ხოლო იმავე ცხრილში კენწეროს პატრიონი შეიცვალა. ჯენიფერ კაბრიატის დღემოკლე დედოფლობის შემდეგ ქალთა ჩოვანის პირველი ჩოვანად ისევ ლინდსი დევენპორტი მოგვევლინა, ვინც ამ საპატიო ადგილას ადრე უკვე იყო. კაბრიატემ პირველობა დრამატულად დაკარგა. მას მიუნხენში ფინალში გასვლაც ჰყოფნიდა, მაგრამ მეოთხედფინალის წინა დღეს ყელი ატკივდა და მცირე მკურნალობის შემდეგ კორტზე მაინც გავიდა. ამერიკელი სულით და გულით იბრძოდა ფრანგი სანდრინე ტესტუს წინააღმდეგ, სეტიც მოუგო, მაგრამ სულ ეს იყო და დევენპორტის ამოცანა

გაადვილდა, ახლა მას ნახევარფინალში გამარჯვებაც ჰყოფნიდა და პირველი ხდებოდა.

„გაადვილდა“ არ ნიშნავს, რომ დევენპორტს ნახევარფინალში საქმე სასიეროდ ჰქონდა. მის წინ იდგა ჩემპიონატის მე-3 ნომერი კიმ კლაისტერსი, რომელმაც პირველ სეტში ისე ამბიციურად იქნია ჩოვანი, რომ მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს და დევენპორტის გამარჯვებაც ერთობ საეჭვო გახდა, მაგრამ ლინდსიმ, როგორც ჩვენი მთავრობა იტყვის, გამოიხედა რეზერვები და მეორე სეტში ინიციატივა იყრო, ხოლო მესამე პარტია გახლდათ დრამა, რომლის კულმინაციაშიც, ანუ ტიაბრიკზე, ამერიკელმა მეტი ძალა გამოამყარა.

დევენპორტს ფინალში არ უთამაშია, მუხლის ტრაპიამ შეაჩვენა თავი და ამან გული იმდენად ატკინა, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრისას იმედგაცრუებული უფრო ჩანდა, ვიდრე რეიტინგში პირველობით გახარებული.

კაბრიატი მშვიდად იყო. „არ მაწუხებს, სათავეში რამდენ ხანს ვიყავი — თქვა ექსპირველმა — მთავარია, რომ ვიყავი. წინ მომავალი წელი და პირველობის დაბრუნებას კიდევ მოვასწრებ.“

სერენა უილიამსი არ გამოვტოვოთ, ბოლოს და ბოლოს მიუნხენში გამარჯვებული ის დარჩა, ამიტომ აი, სერენას კომენტარიც: „რამდენიმე მთამაშე რეიტინგ-ლისტში ჩემ ზემოთაა და არ უნდა იყვნენ. მსოფლიოს პირველი ჩოვანობა ჩემი მთავარი მიზანია.“

WTA-ს მომავალი წლიდან ახალი პრეზიდენტი უმეთაურებს, კევინ უულვი, ვინც წლების მანძილზე მაკლ ჯორდანის გვერდით მუშაობდა. ეს ისე, ცნობისთვის.



სერენა უილიამსმა ფინალი უბრძოლველად მოიგო

REUTERS მიუნხენი

პარიზი (საფრანგეთი). „მასტერსის“ სერია  
საპრიზო 2,95 მილიონი \$

**მეოთხედფინალი. ნიკოლა პიტილი (4, რუსეთი) — ირეი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:3; სანდრინე ბრუშანინი (6, საფრანგეთი) — პიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 6:2; ტომი პაპანი (7, გერმანია) — ტომ მას იოპანანი (15, შეველი) 4:6, 6:4, 6:3; ანდრეას პინსინი (8, იტალია) — სხენე შალკენი (პოლონია) 2:7, 7:6 (7:5), 7:6 (8:6)**

**ნახევარფინალი. პიტილი — ვინსიერა 6:4, 7:6 (8:6); ბრუშანინი — პაასი 7:5, 6:4**

**ფინალი. ბრუშანინი — კაფელინიკოვი 7:6 (7:3), 6:4, 6:7 (5:7), 6:4**

23 წლის სებასტიენ გროჟანი დაითრია ერთადერთი ვაკანტური ადგილი, რომელიც ავსტრალიაში გასამართი „მასტერსის“ კაპის ბაღში რჩებოდა. ამ საქმეში პრინციპული როლი პარიზის ტურნირის ნახევარფინალმა ითამაშა, რომელშიც ერთმანეთს ფრანგი და გერმანელი, გროჟანი და ტომი პაასი დაუპირისპირდნენ. ფრანგმა ორ სეტში გაიმარჯვა, მერე კი იყო მთავარი ბრძოლა ევგენი კაფელინიკოვიან, რომელიც აქამდე 4-ჯერ გახლდათ „მასტერსის“ ტურნირების ფინალში,

ოთხჯერვე წავგო და ტრადიცია ახლა რატომ უნდა დარღვევია?

თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ფინალში ცხარედ იბრძოლა. იყო მომენტები, როცა ფრანგის გამარჯვება უეჭველი ჩანდა, კერძოდ, მესამე სეტის შუაწელში. ამ დროისთვის გროჟანი სეტებში 2-0-ს იგებდა და ერთი მოწოდებაც მეტოქისა მიითვალა, მაგრამ კაფელინიკოვი უტეხად ითამაშა მე-8 გეიმში, მოწოდება დაიბრუნა და ტიაბრიკით სეტი მოიგო, თუმცა თამაშის ბედი ვერ შეცვალა. გროჟანი დომინირებდა მე-4 პარტიაში (ფინალს სამ მოგებადღე თამაშობდნენ) და კარგა ხნით წავა ავსტრალიაში, ჯერ „მასტერსის“ კაპზე, მერე კი დევისის თასის ფინალში უნდა ითამაშოს.

ერთადერთი ფრანგი, ვისაც აქამდე პარიზის „მასტერსი“ მოუგია, გი ფორჟეა, დღევანდელი საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი. ეს მან 1991 წელს შეძლო და მერე დევისის თასიც დაისაკუთრა. გროჟანს გამოუჩინებელი შანსი აქვს, ხოლო თუ „მასტერსის“ კაპზეც იმარჯვა (ო, რა ძნელია), გადაამეტებს კიდევ თავის წინამორბედსა და მასწავლებელს.

**დავით ბულუა**

**სარბიელი**  
საორტული გაზეითი  
გამოიცმვა 1990 წლის  
28 დეკემბერიდან  
გამოდის საგზაბათს,  
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,  
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოთაშვილი  
დირექტორი შიორგი ოქროსქალაქი  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
ტიქნიური რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე  
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორაშვილი  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, დავით თვარაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, გიორგი ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფიროშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე, ფოტორეპორტიორები გურამ დოლონაშვილი, ბადრი კეთილაძე, სტილისტები მათა აბოიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალია გოზალიშვილი, კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევიაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე  
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

**გამაყობის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე ყაზვავის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული პირსია http://www.sarbieli.com.ge